



**საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA**

ირაკლი ფალავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი: 1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

10 ივლ 2025 წ.



№ 25/5513

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ გიორგი გვარაკიძეს

წინადადება

**არასრულწლოვან [REDACTED] განზრახ უკანონო დაკავების ფაქტზე გამოძიების
დანების თაობაზე**

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგმავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო გიორგი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ არასრულწლოვან [REDACTED] ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის^[1] მასალების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ ადგილი ჰქონდა მის განზრახ უკანონო დაკავებას 48 საათის განმავლობაში.

ფაქტობრივი გარემოებები:

2024 წლის 5 დეკემბერს, 20:45 საათზე, პოლიციელებმა დააკავეს^[2] არასრულწლოვანი [REDACTED] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილის და 173-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. დაკავების მოტივს წარმოადგენდა: [REDACTED] მდებარე ტერიტორიაზე [REDACTED] იგინებოდა პოლიციელების მისაძარით და აყენებდა მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას. არაერთგზის მოწოდების მიუხედავად, შეენწყვიტა კანონდარღვევა, ის აგრძელებდა შეურაცხყოფის მიყენებას პოლიციელების მიმართ. დაკავების საფუძვლებად მითითებულია: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთა (თუ ამონერულია ზემოქმედების სხვა ზომები), პიროვნების დადგენა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა (თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია), ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვის უზრუნველყოფა. [REDACTED]

დაკავებულის „მარჯვენა შარვლის“ ჯიბიდან ამოღებულია 1 ც. ე. წ. კასტეტი (სასამართლოზე პოლიციამ განმარტა, რომ ამ საკითხზე ცალკე ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო). დაკავების ოქმზე ფიქსირდება დაკავებულისა და მისი დედის ხელმოწერები.

2024 წლის 5 დეკემბერს შედგენილი პოლიციელის პატაკი^[4] იმეორებს დაკავების ოქმში მითითებულ გარემოებებს და აღნიშნავს, რომ ვინაიდან ადგილზე შექმნილი მდგომარეობა არ იძლეოდა ადმინისტრაციული დაკავების ოქმის შედგენის საშუალებას, [REDACTED] გადაიყვანეს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის შენობაში, სადაც დედის მონანილეობითა და თანდასწრებით შეადგინეს ადმინისტრაციული დაკავების ოქმი და დაკავებული განათავსეს დროებითი მოთავსების დაწესებულებაში. პოლიციელი ხელმძღვანელისგან ითხოვს შემდგომ მითითებებს.

2024 წლის 5 დეკემბერს, 22:15 საათზე, პოლიციის საინფორმაციო ბაზიდან ამოებეჭდილია [REDACTED] შესახებ ინფორმაცია.

2024 წლის 6 დეკემბერს, პოლიციელმა მიმართა^[5] ხელმძღვანელს და აღნიშნა, რომ 5 დეკემბერს, ადმინისტრაციული წესით დააკავა [REDACTED]. მოცემული დროისთვის, ადმინისტრაციულ საქმეზე მოსაპოვებელი იყო დამატებითი მტკიცებულებები, აღნიშნულის მოპოვება საჭიროებდა დამატებით ვადას, ხოლო ამისთვის მიზანშეწონილი იყო დაკავების ვადის 24 საათით გახანგრძლივება. პოლიციელი მიუთითებდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილზე.

2024 წლის 6 დეკემბერს, პოლიციის განყოფილების უფროსმა^[6] მიმართა იზოლატორს და აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის, საქმეზე მოსაპოვებელი იყო დამატებითი მტკიცებულებები, ხოლო აღნიშნულის მოპოვება საჭიროებდა გარკვეულ დროს. აქედან გამომდინარე, პატაკის შესაბამისად, [REDACTED] ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა გახანგრძლივებული იქნა 24 საათით. ხერხში მითითებული იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულებაზე.

2024 წლის 6 დეკემბერს, პოლიციის განყოფილების უფროსმა მიმართა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრს - [REDACTED] ადმინისტრაციული „ნასამართლობის“ შესახებ

ინფორმაციის მიწოდების თაობაზე^[7] და [REDACTED] - [REDACTED] შენობის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეო სათვალავო კამერის 2024 წლის 5 დეკემბრის 20:20 საათიდან - 21:00 საათამდე პერიოდის ჩანაწერების მიწოდების თაობაზე (წერილში აღნიშნული იყო, რომ ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობდა [REDACTED] მიმართ და მონაცემთა დამუშავება კანონით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად იყო საჭირო, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით).^[8]

2024 წლის 6 დეკემბერს, პოლიციელმა^[9] გასაუბრების ოქმები შეადგინა 2 პოლიციელთან,^[10] რომელთა განმარტებით, 2024 წლის 5 დეკემბერს, საღამოს საათებში, [REDACTED] მიმდებარე ტერიტორიაზე, აქცია-მანიფესტაციის დროს იცავდნენ საზოგადოებრივ ხესოიკს. მათი მტკიცებით, აქციის მონაწილემ დაიწყო უმისამართო ლანძღვა-გინება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, პოლიციელებმა არაერთგზის მისცეს მითითება სამართალდარღვევის

შეწყვეტის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ. ერთ-ერთი პოლიციელის^[11] თქმით, ახალგაზრდა მამაკაცმა გაისროლა პიროტექნიკა, რომელიც მოხვდა ხელზე, თუმცა არ გააქტიურებულა და რაიმე სახის ტკივილი არ უგრძვნია, ხოლო ძირს დავარდნისას პოლიციელის მიერ გადაგდებული იქნა თავისუფალ ადგილას, სადაც საბოლოოდ დაკარგა აქტივობა, ვინაიდან ის მხოლოდ კვამლის გამშვები აღმოჩნდა. პოლიციელთა მტკიცებით, ხსენებულმა პირმა

დაკავების მომენტში სცადა მიმალვა, თუმცა მე-2 პოლიციელის^[12] თქმით, კოლეგებთან ერთად დააკავა. ვინაიდან ადგილზე შექმნილი პირობები არ იძლეოდა ოქმის შედგენის საშუალებას, დაკავებული გადაიყვანეს პოლიციის შენობაში, სადაც მოხდა მისი იდენტიფიცირება. მამაკაცი აღმოჩნდა [REDACTED], რის გამოც მათ მიერ ადგილზე დაუყოვნებლივ მოიხვიეს კანონიერი წარმომადგენელი (დედა), რომლის თანდასწრებითაც შედგა ადმინისტრაციული დაკავების ოქმი და დაკავებული შეასახლეს იზოლატორში. საგულისხმოა, რომ მე-2 პოლიციელის^[13] თქმით, [REDACTED] ეცვა მოლურჯო ფერის მარვალი, შავი ფერის თეთრბოლიანი სპორტული მოსაცმელი და ჰქონდა შავი ფერის ბურჯანთა.

2024 წლის 7 დეკემბერს, შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის^[14] თანახმად, 2024 წლის 5 დეკემბერს, [REDACTED] მდებარე ტერიტორიაზე იგინებოდა და ილანძღვებოდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას უმისამართოდ. პოლიციის თანამშრომლების არაერთგზის მოთხოვნას, შეენწყვიტა ლანძღვა-გინება, პირმა არ დაემორჩილა და მათაც მიაყენა სიტყვიერი

2024 წლის 7 დეკემბერს, პოლიციის განყოფილების უფროსმა^[15] [REDACTED] სასამართლოში გადაგზავნა [REDACTED] მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები (17 ფურცელი და 1 დისკი).

საქმის განაწილების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, საქმის სასამართლოში შეტანის თარიღია: 2024 წლის 7 დეკემბერი, 16:02 საათი, ხოლო 16:25 საათზე განაწილდა მორიგე მოსამართლეზე.

სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით, 2025 წლის 7 დეკემბერს, 17:30 საათზე, [REDACTED] სასამართლოში გაიხსნა სხდომა. ამ დროისთვის და შემდეგ, სხდომის მიმდინარეობის დროსაც, არასრულწლოვანი [REDACTED] კვლავ დაკავებული იყო. სხდომის მიმდინარეობისას, 20:17 საათზე, ადვოკატმა დააყენა მისი გათავისუფლების შუამდგომლობა და მიუთითა, რომ დაკავებული ბავშვი იყო და არ იყო აუცილებელი 48 საათის გასვლის დალოდება. თუმცა მოსამართლის განცხადებით, ვადა რომ გაუვიდოდა, მერე გაათავისუფლებდა. მოგვიანებით, დაკავების მაქსიმალური 48-საათიანი ვადის გასვლამდე რამდენიმე წამით ადრე, 20:44 საათზე, მოსამართლემ განაცხადა, რომ დაკავების ვადა გავიდა და [REDACTED] ადმინისტრაციული დაკავებიდან გაათავისუფლა. ამასთან, სხდომა გაგრძელდა.

[REDACTED] სასამართლოს 2024 წლის 7 დეკემბრის დადგენილებით,^[16] 2024 წლის 5 დეკემბერს, ქუთაისში, მერიის წინ მდებარე ტერიტორიაზე [REDACTED] იგინებოდა და ილანძღებოდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე უმისამართოდ. პოლიციის თანამშრომლების არაერთგზის მოწოდებაზე^[17], შეწყვიტა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, არ დაემორჩილა მათ, პოლიციის მიმართულებით ისროლა გაურკვეველი საგანი (სასამართლო სხდომაზე დადგინდა, რომ აღნიშნული ნივთი იყო ე. წ. კვამლის გამშვები მუყაოს ნივთი), რაც მოხვდა ხელზე ერთ-ერთ პოლიციელს (მისივე ჩვენებით, აქტივაცია არ მომხდარა), მიაყენა მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა და სცადა მიმალვა, რის გამოც დააკავეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილის და 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების საფუძველზე. **სასამართლომ არასრულწლოვანს ჯარიმა შეუფარდა.**

სასამართლომ აღნიშნა, რომ [REDACTED] ცდილობდა ადგილიდან მიმალვას, ოქმის შედგენისთვის საჭირო იყო პირის იდენტიფიცირება, რაც იმ მომენტში, დაკავების ადგილას ხალხის მასის კონცენტრირებისა და რამდენიმე მოქალაქის მცდელობის გამო, გათავისუფლებინათ პოლიციისგან, საჭირო გახდა [REDACTED] გადაყვანა პოლიციის განყოფილებაში. აღნიშნული გარემოებები კი ქმნის უკიდურეს აუცილებლობას, რაც გახდა პირის დაკავების საფუძველი. ხალხის მასისგან მითითება - „ბავშვია“, არ წარმოადგენს იმ სახის მტკიცებულებას, რაც პოლიციას დაკავების მომენტში დაარწმუნებდა პირის არასრულწლოვნობაში, მითუმეტეს, იმ პირობებში, როცა პირის შესაძლო მიმალვის გამო, გადაუდებელი გახდა მისი დაკავება და დაკავების მომენტში, პოლიცია ვერ გადაამოწმებდა დაკავებული პირის არათუ ასაკს, არამედ ვინაობასაც. განყოფილებაში მიყვანის შემდეგ, გადაამოწმებული იქნა [REDACTED] საინფორმაციო ბარათი, რის საფუძველზე დადგინდა, რომ იყო არასრულწლოვანი, პოლიციამ შეატყობინა კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც პოლიციამ მიიყვანა განყოფილებაში.

[REDACTED] სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 15 იანვრის დადგენილებით,^[18] დადგენილება უცვლელად დარჩა.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუცია და საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები

საქართველოს კონსტიტუციით,^[19] დაცულია ადამიანის თავისუფლება. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ხოლო ამ მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით.

საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში ინდივიდის თავისუფლების სასარგებლოდ მოქმედ პრინციპზე. თავისუფლების შეზღუდვის შეფასების საბოლოო თანაზომიერების პრინციპია. თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევასა და ვითარებაში გამოსაყენებელი უკიდურესი ღონისძიებაა, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია და ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არ არსებობს სხვა ალტერნატივა.^[20] ადამიანის თავისუფლება იმდენად წონადი ძირითადი უფლებაა, რომ მასში ჩარევა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უნდა განიხილებოდეს, როგორც ultima

ratio.[21] თავისუფლების უფლების შემზღუდავი ნებისმიერი ღონისძიება კონსტიტუციის მოთხოვნების სრული დაცვით უნდა განხორციელდეს.[22]

კონსტიტუციით, სახელმწიფოს სამოქმედო არეალი მკაცრად შემოფარგლულია; ხოლო მისი ძალაუფლების საპირწონედ, ინდივიდი, სახელმწიფოს მიერ თავისუფლების უფლების გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისგან დამცავი საპროცესო უფლებებითაა აღჭურვილი.[23] კონსტიტუცია იცავს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას და მიზნად ისახავს არ დაუშვას თავისუფლების უკანონოდ, დაუსაბუთებლად და თვითნებურად შეზღუდვა.[24] ადამიანის პირადი თავისუფლება და ხელშეუხებლობა არ არის აბსოლუტური ხასიათის, შეუზღუდავი უფლება. თუმცა, ის აბსოლუტურად არის დაცული უკანონო, უსაფუძვლო და თვითნებური შეზღუდვისგან.[25] თვითნებობისაგან დაცვის პრინციპი მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის კანონიერებას, ფორმალურ-სამართლებრივი საფუძვლების არსებობას და მათ თანმიმდევრულ დაცვას, არამედ საპროცესო-სამართლებრივ სივრცეს, სადაც გამოირიცხება ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა/აღკვეთა წონადი და კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებადი ლეგიტიმური მიზნის, ღონისძიების გამოყენების რეალური და ობიექტური საჭიროების არსებობის გარეშე.[26] ფიზიკური თავისუფლებისა და ხელშეუვალობის უფლება თვითნებურად იზღუდება მაშინ, როდესაც პირი თავისუფლების აღკვეთის/საპატიმრო დაწესებულებაში განაგრძობს ყოფნას, თუმცა აღარ არსებობს თავად თავისუფლების შეზღუდვის აუცილებელი, საგამონაკლისო საფუძველი.[27]

თავისუფლების უფლების შეზღუდვის ერთ-ერთი ძირითადი სახეა პირის დაკავება.[28] დაკავებაა, როცა პირი დანაშაულის ან სამართალდარღვევის ჩადენაში ეჭმითაიწილია და მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, აუცილებელია საზოგადოებისგან მისი დროებით იზოლირება, ან მისი დახურულ სივრცეში გადაყვანა (მოთავსება) აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველყოფის მიზნით.[29] სამართალდარღვევის გამოვლენა, პრევენცია და აღკვეთა მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნებადაა მიჩნეული.[30]

თავისუფლების აღკვეთისა და თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვისათვის სასამართლოს გადანყვეტილება აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, ხოლო გამონაკლისს ადგენს თავად კონსტიტუცია. ამასთან, დაკავების საგამონაკლისო წესის ფარგლები მკაცრად რეგლამენტირებულია, მათ შორის, დროის მკაცრად განსაზღვრული მონაკვეთით და გამოიყენება მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობისას, როცა ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა ერთადერთ და აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს. დაკავება შესაძლებელია სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დაკავებული სასამართლოს უნდა წარედგინოს არაუგვიანეს 48 საათისა. ეს სპეციფიკური წესი გადაუდებელ აუცილებლობას უკავშირდება, როდესაც სასამართლოს გადანყვეტილების მოპოვება შეუძლებელია ან/და დაყოვნება რეალურ საფრთხეს უქმნის კონსტიტუციურ მიზნებს: საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას, სხვათა უფლებების დაცვას ან მართლმსაჯულების განხორციელებას და დანაშაულის (სამართალდარღვევის) აღკვეთის ან პრევენციის მიზნით, ადამიანის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის მყისიერი, გადაუდებელი აუცილებლობა არსებობს.[31] ამასთან, თავისუფლების უფლებაში არათანაზომიერი ან/და თვითნებური ჩარევის პრევენციის მიზნით, დაკავების გადანყვეტილება სასამართლოს კონტროლს ექვემდებარება.[32]

„იმისთვის, რათა პირის ადმინისტრაციულმა დაკავებამ უპასუხოს კანონიერების მოთხოვნას, აუცილებელია, რომ ადმინისტრაციული დაკავების კანონით გათვალისწინებული მიზანი არსებობდეს პირის დაკავების მომენტიდან მის გათავისუფლებამდე. დასახელებული მიზნის მიღწევის შემდეგ პირის თავისუფლების შეზღუდვა, ადმინისტრაციული დაკავებისთვის კანონმდებლობით დადგენილი მაქსიმალური ვადის გასვლამდე, თვითმიზნურ ხასიათს ატარებს.“[33] „ადმინისტრაციული დაკავების საფუძვლის ამოწურვისთანავე პირის თავისუფლების შეზღუდვა ატარებს უკანონო ხასიათს და იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.“[34]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

• მოგადი სტანდარტები

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებულია თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და გარდა შემდეგი შემთხვევისა: პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა.[35] ამ დიზიუქტათა შესაბამისად დაკავებული თუ დაპატიმრებული პირი

განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და იგი აღჭურვილია უფლებით, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. ასეთი გათავისუფლება შეიძლება პირობადებული იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების რაიმე გარანტიით.[36]

კონვენციის მე-5 მუხლის მიზანს თვითნებური ან გაუპართლებელი/დაუსაბუთებელი თავისუფლების აღკვეთის თავიდან აცილება წარმოადგენს.[37] თავისუფლების აღკვეთა შეიძლება იყოს კანონიერი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, თუმცა მაინც თვითნებური და შესაბამისად, კონვენციის საწინააღმდეგო.[38]

კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „C“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაკავება შესაძლებელია: სისხლის სამართლის საქმის წარმოების კონტექსტში, სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით, დანაშაულის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას. გონივრული ეჭვის არსებობა გულისხმობს ფაქტების ან ინფორმაციის არსებობას, რომელიც დაარწმუნებს ობიექტურ დამკვირვებელს, რომ პირმა შესაძლოა ჩაიდინა დანაშაული.[39] ის ფაქტი, რომ ეჭვი კეთილსინდისიერად გაჩნდა/არსებობს, თავისთავად არასაკმარისია.[40] „გონივრული ეჭვის“ მოთხოვნას ორი ასპექტი აქვს: ფაქტობრივი და დანაშაულებრივ ქმედებად კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ასპექტი.[41]

საგულისხმოა, რომ კონვენციის მიზნებისთვის „დანაშაულის“ ტერმინს ავტონომიური მნიშვნელობა აქვს, რომელიც მე-6 მუხლით გათვალისწინებული „სისხლის სამართლის დანაშაულის“ განმარტებას ემთხვევა. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „დანაშაული“ არ შემოიფარგლება მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით და გასათვალისწინებელია სამართალწარმოების ხასიათი და სასჯელი.[42] ევროპული სასამართლო სისხლისსამართლებრივი ხასიათის ბრალდებად განიხილავს და კონვენციის მე-6 მუხლის გარანტიებს იყენებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომლისთვისაც სანქციის სახედ გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა.[43]

მნიშვნელოვანია, არ აღმოჩნდეს, რომ სავარაუდო დანაშაულები დაკავშირებული იყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებასთან.[44] კონვენციით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების „დანაშაულებრივ ქმედებად“ კვალიფიკაციის შემთხვევაში, ეჭვი ვერ ჩაითვლება გონივრულად. წინააღმდეგ შემთხვევაში, „გონივრული ეჭვის“ ცნების გამოყენება ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის მიზნით საფრთხეს შეუქმნის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას.[45]

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს დანაშაულში ეჭვმიტანილი დაკავებული პირებისთვის თავისუფლების გაუპართლებელი ან თვითნებური აღკვეთის თავიდან აცილების გარანტიას.[46] რომლის არსებით მახასიათებელს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პიროვნების თავისუფლების უფლებაში ჩარევის სწრაფი და ავტომატური[47] სასამართლო კონტროლი წარმოადგენს.[48]

სასამართლო კონტროლი მიზნად ისახავს უზრუნველყოს ეფექტიანი დაცვა დაკავების ადრეულ ეტაპზე არასათანადო მოპყრობის რისკის წინააღმდეგ და აგრეთვე, ხელისუფლების/სამართალდამცავების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან.[49] დაკავებული უნდა წარედგინოს სასამართლოს სწრაფად/დაუყოვნებლივ, რათა შესაძლებელი იყოს არასათანადო მოპყრობის გამოვლენა და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი პირის თავისუფლებაში გაუპართლებელი ჩარევა. ოპერატიულობის თითოეულ შემთხვევაში განსაკუთრებული მახასიათებლების მიხედვით შეფასების საჭიროების მიუხედავად, დროის მკაცრი შეზღუდვა მცირე შესაძლებლობას ტოვებს ინტერპრეტაციისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირის საზიანოდ მნიშვნელოვნად შესუსტდებოდა პროცედურული გარანტია და უფლების ხელყოფის რისკი იარსებებდა.[50]

სასამართლოს წინაშე დაკავებულის დაუყოვნებლივ წარდგენის მოთხოვნა დარღვეულია ისეთ შემთხვევაში, როცა არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული სირთულე ან გამონაკლისი გარემოება, რომელიც ხელისუფლების ორგანოს ხელს უშლის მოსამართლის წინაშე პირის უფრო ადრე წარდგენაში. ერთ-ერთ საქმეში, დაკავებულ არასრულწლოვნებს ვადა გაუხანგრძლივეს და მთლიანობაში, 3 დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში იყვნენ დაკავებულები, სახელმწიფოს შესაძლო თვითნებობის წინააღმდეგ რაიმე გარანტიის არარსებობის პირობებში (როგორიცაა ადვოკატთან წვდომა). ერთადერთი საგამოძიებო მოქმედება - გამოკითხვა - ჩატარდა დაკავებიდან 2 დღის შემდეგ და მოსამართლის წინაშე

წარდგენამდე 1 დღით ადრე.^[51] სხვა შემთხვევაში, დაკავების 24 საათის შემდეგ, ვადა კიდევ 72 საათით გაგრძელდა ყოველგვარი საფუძვლის დასახელების გარეშე, გარდა სტანდარტული ტექსტისა, რომ არსებობდა გაქცევის ან ხელახალი დანაშაულის ჩადენის რისკი. დაკავებული სასამართლოში წარადგინეს მაშინ, როცა 72-საათიანი ვადა იწურებოდა.^[52]

მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი მოითხოვს, რომ **სასამართლო მოხელემ განიხილოს დაკავების არსებითი მხარე:**^[53] პირადად მოუსმინოს მის წინაშე წარდგენილ პირს; განიხილოს

დაკავების მხარდამჭერი და სანინააღმდეგო არგუმენტები და სამართლებრივ კრიტერიუმებზე მითითებით, გადაწყვიტოს: არსებობს თუ არა დაკავების გამამართლებელი მიზეზები; ხოლო მათი არარსებობისას - მიიღოს გათავისუფლების ბრძანება.[54] შესაბამისად, განხილული უნდა იქნეს დაკავების კანონიერების საკითხი და დანაშაულის ჩადენაში გონივრული ეჭვის არსებობის საკითხი, ანუ დაკავება ექცევა თუ არა გამონაკლისის ფარგლებში.[55]

თვითნებობის საკითხი მოიცავს შეფასებას, იყო თუ არა დაკავება აუცილებელი დასახული მიზნის მისაღწევად. პირის დაკავება იმდენად სერიოზული ღონისძიებაა, რომ მისი გამოყენება გამართლებულია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც განხილულია სხვა, ნაკლებად მკაცრი ზომები და არასაკმარისად ითვლება პირის ან საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად, რამაც შეიძლება მოითხოვოს შესაბამისი პირის დაკავება.[56]

• მომიტინგეების ადმინისტრაციული წესით დაკავება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეკრება-მანიფესტაციისას ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების (პასუხისმგებლობა დაეკისრათ პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის) არაერთ საქმეზე დაადგინა თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების, შეკრების თავისუფლების, სამართლიანი სასამართლოს უფლების (კონვენციის მე-5, მე-6 და მე-11 მუხლები) დარღვევა. მოცემულ საქმეებში კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დადგინდა და შესაბამისად, დაკავება გაუმართლებლად, უკანონოდ ან/და თვითნებურად შეფასდა:

- განმცხადებლისთვის თავისუფლების შეზღუდვა ძალიან მცირე პერიოდის განმავლობაში, როცა საქმის მასალებიდან ნათლად ჩანდა, რომ პოლიციელების განზრახვა აქციაში მონაწილეობისთვის ხელის შეშლა იყო;[57]
- განმცხადებლის პოლიციის განყოფილებაში გადაყვანა არ იყო მკაცრად აუცილებელი; ხოლო დაკავების შემდეგ განმცხადებლები ზედიზედ გადაიყვანეს პოლიციის 3 განყოფილებაში და მხოლოდ მესამე განყოფილებაში შედგა ოქმი. დაკავებულთა გადაყვანები თითქმის 6 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა ყოველგვარი ჩანაწერის არსებობის და ამ დროის დაკავების ვადაში ჩათვლის გარეშე. პოლიციის განყოფილებაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შემდეგ, მომჩივანთა გათავისუფლების ნაცვლად, დაკავება გაგრძელდა სასამართლოში წარდგენამდე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ 48-საათიან ვადაში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. არ არსებობდა ვარაუდის საფუძველი, რომ განმცხადებლები თავს აარიდებდნენ ან სხვაგვარად შეაფერხებდნენ მართლმსაჯულებას. ნებისმიერ შემთხვევაში, ხელისუფლებას ევალებოდა ასეთი საფრთხის დემონსტრირება. მომჩივნების

- გათავისუფლების სანინააღმდეგოდ რაიმე აშკარა მიზეზი არ არსებობდა;[58]
- განმცხადებლის დაკავება და პატიმრობა, განხორციელდა მიზნებით, რომლებიც არ იყო დაკავშირებული თავისუფლების შეზღუდვის გასამართლებლად დაფუძნებულ ფორმალურ საფუძველთან და მოიცავდა პოლიციის მხრიდან არაკეთილსინდისიერების ელემენტს. პოლიციელის კანონიერი ბრძანების შეუსრულებლობის ოფიციალური ბრალდების მიუხედავად, განმცხადებელი ფაქტობრივად დააკავეს არასანქცირებულ მშვიდობიან დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო. ამასთან, ადმინისტრაციული პატიმრობის შემფარდებელი სასამართლოები თვითნებურად მოქმედებდნენ დაკავების როგორც ფაქტობრივი, ასევე, სამართლებრივი საფუძვლების განხილვისას. ეროვნულმა სასამართლოებმა არ გამოიკვლიეს, გამოიყენა თუ არა პოლიციამ დაკავების სწორი სამართლებრივი საფუძველი, ან პოლიციის მიერ შეკრების უფლებაში ჩარევის კანონიერება;[59]
- ოქმის შედგენისთანავე, განმცხადებლის პოლიციის განყოფილებაში მიყვანის მიზანი მიღწეული იყო და მისი გათავისუფლება შეიძლებოდა. ადმინისტრაციული დაკავების ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 3 საათს, რაც მიუთითებდა კანონით სამართალდარღვევის ოქმის შედგენისთვის გონივრულ და საკმარის პერიოდად მიჩნევაზე. თუმცა, განმცხადებელი არ გაათავისუფლეს და სასამართლოში საქმის განხილვაზე დასწრების უზრუნველსაყოფად დაკავების ვადა გაუგრძელეს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული 48-საათიანი ვადის ფარგლებში. სახელმწიფოს არ დაუსაბუთებია, რომ ეს იყო „გამონაკლისი შემთხვევა“ ან „აუცილებელი სავარაუდო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დროული და სათანადო გამოკვლევისთვის“. განმცხადებლის გათავისუფლებაზე უარის რაიმე მკაფიო მიზეზი არ არსებობდა, ასევე, არ არსებობდა სასამართლო განხილვის მოლოდინში, სასამართლო პროცესამდე 36-საათიანი დაკავების მიზეზები და

- სახელმწიფოს არ წარმოუდგენია რაიმე დასაბუთება განმცხადებლის 48-საათიანი ვადით დაკავების თაობაზე, როგორც ამას კანონი მოითხოვდა, რომ ეს იყო „გამონაკლისი შემთხვევა“ ან „აუცილებელი ადმინისტრაციული საქმის დროული და სათანადო განხილვისთვის და ნებისმიერი დაკისრებული სასჯელის აღსრულების უზრუნველსაყოფად“;^[61]
- მომჩივნები დააკავეს და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ოქმების შედგენის შემდეგ, ეს მიზანი მიღწეული იყო, ისინი არ გაათავისუფლეს და განყოფილებაში დააკავეს დაახლოებით 18 და 20 საათის განმავლობაში, სასამართლო განხილვამდე. მთავრობის მტკიცებით, მოცემული პერიოდი შედიოდა დაკავების 48-საათიან ვადაში, თუმცა ხელისუფლებას არ წარმოუდგენია დასაბუთება, რომ ეს იყო „გამონაკლისი შემთხვევა“ ან „აუცილებელი იყო ადმინისტრაციული საქმის დროული და სათანადო განხილვისთვის და დაკისრებული სასჯელის აღსრულების უზრუნველსაყოფად“. განმცხადებლები ადმინისტრაციული წესით იყვნენ დაკავებული 18 და 20 საათის განმავლობაში ისე, რომ არ არსებობდა რაიმე მიზეზი, რომ არ გაეთავისუფლებინათ.^[62]

ევროპულმა სასამართლომ **საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადანევრებულებაში**^[63] კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „C“ ქვეპუნქტის დარღვევა დაადგინა და მომჩივნების ადმინისტრაციული დაკავება თვითნებურად შეაფასა. ისინი პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის გამო დააკავეს, რაც შემდგომ 12 საათს გაგრძელდა. მომჩივნების განცხადება, რომ პოლიციელებს არ ჰქონიათ კანონიერი მოთხოვნა და არ ეცვათ უნიფორმა, რამაც ისინი აიძულა გაქცეულიყვნენ - ქმედება, რომელსაც ბრალდება ეფუძნებოდა (173-ე მუხლი), ავალდებულებდა ეროვნულ სასამართლოებს აღნიშნულისთვის გაეცათ მკაფიო პასუხი. ეს კი მომჩივნების დაკავების დროს „საფუძვლიანი ეჭვის“ არსებობა/არარსებობის საკითხის შეფასების შესაძლებლობას ქმნიდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევთ, რომ პოლიციელებმა მომჩივნები დააკავეს „საფუძვლიანი ეჭვის“ საფუძველზე, თვითნებობის გამორიცხვისთვის საკმარისი არ არის ამ ღონისძიების მხოლოდ ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა, ასევე, აუცილებელი უნდა იყოს არსებულ გარემოებებში. ეროვნულ დონეზე არ მომხდარა შეფასება, რამდენად იყო აუცილებელი მომჩივნების დაკავებაში დატოვება დაახლოებით 12 საათის განმავლობაში. ევროპულმა სასამართლომ არ გაზიარა მთავრობის მტკიცებულებებით გაუმყარებელი პოზიცია, რომ ეს აუცილებელი იყო სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმების შესადგენად და საქმის სათანადო განხილვის უზრუნველსაყოფად. ხელისუფლების ორგანოები ვალდებულები იყვნენ განესაზღვრათ, იყო თუ არა დაკავება მოცემულ საქმეში „გონივრულად აუცილებელი“. ადმინისტრაციული დაკავება ავტომატური ღონისძიება იყო, რადროსაც არ მომხდარა მისი გამოყენების აუცილებლობის შეფასება. დაკავებამ უნდა დააკმაყოფილოს პროპორციულობის მოთხოვნა, რაც ითვალისწინებს დასაბუთებული გადანევრებულების არსებობას, რომლის საფუძველზეც დაბალანსდება არგუმენტები დაკავების გაგრძელების ან გათავისუფლების თაობაზე. ხელისუფლების ორგანოებს მხედველობაში უნდა მიეღოთ, რომ ღონისძიება გამოყენებული იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კონტექსტში, ფუნდამენტური უფლებით სარგებლობის დროს, კერძოდ, გამოხატვის და შეკრების თავისუფლების კონტექსტში.

საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ უახლეს გადანევრებულებაში^[64] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა. განმცხადებლის ადმინისტრაციული დაკავება არ იყო თვითნებობისგან თავისუფალი, რადგან ხელისუფლებამ ვერ დაამტკიცა, რომ მისი დაკავება აუცილებელი იყო მოცემულ გარემოებებში. პოლიციელებმა განმცხადებელი დააკავეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული „დანაშაულის“ ჩადენის შესახებ „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „C“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით. თუმცა დაკავების თვითნებობისგან დასაცავად საკმარისი არ არის მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად იყოს ეს ზომა გამოყენებული, არამედ აუცილებელი იყოს მოცემულ გარემოებებში. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ ჰქონდა უფლებამოსილება სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას გაეცა განმცხადებლის გათავისუფლების ბრძანება და მხოლოდ იმის შეფასება შეეძლო, გასული იყო თუ არა დაკავების მაქსიმალური 48-საათიანი ვადა. სააპელაციო სასამართლომაც განმარტა, რომ განმცხადებლის დაკავების ვადა არ აღემატებოდა დაკავების ვადას. **ევროპულმა სასამართლომ გააკრიტიკა ეროვნული სასამართლოების ამგვარი განმარტება, რომ დაკავება, როგორც წესი, კანონიერად ითვლებოდა 48 საათის განმავლობაში. კანონის ამგვარი ინტერპრეტაციის მიღებისას შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას ნებისმიერი წინასწარი დაკავება გამართლებული იქნებოდა იმ პირობით, რომ ის აკმაყოფილებს შესაბამის დაკავების მაქსიმალურ ვადებს. თუმცა, ეს შეუთავსებელია სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან. სააპელაციო სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ განმცხადებლის დაკავება მიზნად ისახავდა მის**

საქმეში პოტენციური პატიმრობის სანქციის აღსრულების უზრუნველყოფას. თუმცა, პატიმრობის სანქციის გამოყენებაზე მხოლოდ მითითება, განსაკუთრებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების კონტექსტში, რომელიც ეხება განმცხადებლის არაძალადობრივ ქცევას, რომელიც დაკავშირებულია მის დემონსტრაციაში მონაწილეობასთან, არ შეიძლება იყოს საკმარისი გამართლება წინასწარი დაკავების გამოყენებისთვის, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იქნას გამოყენებული გამონაკლის შემთხვევებში. ეროვნული სასამართლოების გადანაცვტილებებში არ იყო მოცემული ინდივიდუალური შეფასება, რომელიც დააბალანსებდა გათავისუფლების სასარგებლო და საწინააღმდეგო შესაბამის არგუმენტებს, იმის შესახებ, იყო თუ არა დაკავება, რომელიც 22 საათზე მეტხანს გაგრძელდა, პროპორციული უკიდურესი ზომა განმცხადებლის საქმის კონკრეტულ გარემოებებში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

გაერთო ბავშვის უფლებათა კონვენციით, არცერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში. ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება, გააპროტესტოს მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და რომ მათ დაუყოვნებლივ უნდა გამოიტანონ გადანაცვტილება ნებისმიერი ასეთი პროცესუალური ქმედების თაობაზე.[65]

გაერთო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ მინიმალური სტანდარტული წესების („პეკინური წესები“)[66] თანახმად, არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი ღონისძიება ყოველთვის უნდა იყოს სამართალდამრღვევისა და სამართალდარღვევის თანაბომიერი. მოსამართლე ანდა სხვა უფლებამოსილი პირი ან ორგანო დაყოვნების გარეშე განიხილავს გათავისუფლების საკითხს. ურთიერთობა სამართალდამცავ ორგანოებსა და არასრულწლოვან სამართალდამრღვევს შორის უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ პატივი სცენ არასრულწლოვნის სამართლებრივ სტატუსს, ხელი შეენყოს არასრულწლოვნის კეთილდღეობას და თავიდან იქნეს აცილებული ზიანი, საქმის გარემოებების გათვალისწინებით. წინასწარი პატიმრობა გამოიყენება, როგორც უკიდურესი ზომა და შეძლებისადგვარად, მოკლე დროით. პირადი თავისუფლების შეზღუდვა არ გამოიყენება, თუ არასრულწლოვანს არ ასამართლებენ სერიოზული ქმედებისათვის სხვა პირის მიმართ ძალადობით ან სხვა სერიოზული სამართალდარღვევების არაერთგვარადი ჩადენისათვის და თუ არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ღონისძიება. არასრულწლოვნის მოთავსება დახურული ტიპის დაწესებულებაში უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება და მინიმალური აუცილებელი დროის განმავლობაში. ყველა საქმე დასაწყისიდანვე უნდა განიხილებოდეს დაჩქარებულად ყოველგვარი გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.

გაერთო არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების („რიადის პრინციპები“)[67] თანახმად, აცილებულ უნდა იქნეს თავიდან ბავშვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და მისი დასჯა იმ საქციელისათვის, რომელიც არ აყენებს სერიოზულ ზიანს ბავშვის განვითარებას ან სხვებს. ჩარევა უნდა განხორციელდეს არასრულწლოვნის ინტერესებიდან გამომდინარე და წარიმართოს სამართლიანად და თანასწორ პირობებში; გასათვალისწინებელია, რომ ახალგაზრდული ქმედებები ან საქციელი, რომლებიც არ შეესაბამება ყველა სოციალურ ნორმას და ღირებულებას, ხშირად წარმოადგენს განვითარებისა და ზრდის პროცესის ნაწილს და სპონტანურად უჩინარდება უმეტეს პირებში ზრდასრული ასაკის მიღწევისას.

გაერთო თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ წესების („ჰავანას წესები“)[68] თანახმად, თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს დაკავების ან დაპატიმრების ნებისმიერ ფორმას ან სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა საჯარო ორგანოს ბრძანების საფუძველზე, პირის მოთავსებას კერძო ან საჯარო საპატიმრო დაწესებულებაში, რომლის საკუთარი სურვილით დატოვების უფლებაც პირს არ გააჩნია. პატიმრობა და თავისუფლების აღკვეთა უნდა წარმოადგენდეს უკანასკნელ ღონისძიებას და გამოყენებულ უნდა იქნეს მაქსიმალურად მცირე დროითა და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. დაკავებული ან წინასწარ პატიმრობაში მყოფი („ჭერ გაუსამართლებელი“) არასრულწლოვნები ითვლებიან უდანაშაულოებად და მათი დაკავება სასამართლომდე მაქსიმალურად უნდა იქნეს თავიდან არიდებული და გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იქნეს გამოყენებული, რათა შეფარდებული იქნეს ალტერნატიული ღონისძიება. როდესაც აღკვეთის ღონისძიების სახით მაინც გამოიყენება პატიმრობა, არასრულწლოვანთა სასამართლოებმა და საგამოძიებო ორგანოებმა პრიორიტეტულად მაქსიმალურად სწრაფად უნდა განიხილონ მსგავსი საქმეები, რათა არასრულწლოვნები საპატიმროში მაქსიმალურად მოკლე დროით იმყოფებოდნენ.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007) მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ[69] განსაზღვრავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში, ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს, რაც გულისხმობს რეპრესიის/დასჯის ჩანაცვლებას რეაბილიტაციითა და აღდგენითი მართლმსაჯულებით, საზოგადოების უსაფრთხოების გათვალისწინებით. ბავშვის დაკავება, დაპატიმრება, ან თავისუფლების აღკვეთა უკიდურეს ზომად უნდა განიხილებოდეს. დაკავება, დაპატიმრება ან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსება უნდა მოხდეს კანონის შესაბამისად, გამოყენებული იქნეს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა და რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში. არცერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ და თვითნებურად. სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ბავშვების რაც შეიძლება დროული გათავისუფლება წინასწარი პატიმრობიდან და თუ საჭირო გახდა, ამისთვის სპეციალური პირობებიც კი დააწესონ. ყოველ თავისუფლება აღკვეთილ ბავშვს აქვს უფლება წარდგეს კომპეტენტური ორგანოს წინაშე, რათა დადგინდეს მისი დაკავების კანონიერება (და პატიმრობის ხანგრძლივობა) თავისუფლების აღკვეთიდან 24 საათის განმავლობაში.

გაეროს მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა მიმართ განსახორციელებელ მოქმედებებთან დაკავშირებით სახელმძღვანელო პრინციპების („ვენის პრინციპები“)[70] თანახმად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მთელი რიგი ალტერნატიული და აღმზრდელობითი ზომები დაპატიმრებამდე, წინასწარი პატიმრობის, სასამართლო პროცესის და სასამართლო პროცესის შემდგომ ეტაპებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული რეციდივი და მხარი დაეჭიროს დამნაშავე ბავშვების სოციალურ რეაბილიტაციას. ბავშვების დახურულ დაწესებულებაში განთავსება უნდა შეიზღუდოს. ბავშვთა ამგვარი განთავსება მხოლოდ კონვენციის 37-ე მუხლის „ბ“ მუხლის დებულებების შესაბამისად უნდა მოხდეს და ეს უნდა განიხილებოდეს როგორც უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება უმოკლესი ვადით. სახელმწიფოებმა შექანიზმები უნდა შეიმუშაონ, რათა ყველა ბრალდების მყისიერი, გულმოდგინე და მიუკერძოებელი გამოძიება უზრუნველყონ ოფიციალური პირების მიმართ, რომლებმაც ბავშვების ძირითადი უფლებები და თავისუფლებები განზრახ დაარღვიეს. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სათანადო სანქციები გაიცეს მათ მიმართ, ვინც ამაზეა პასუხისმგებელი.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევისა და კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, კერძოდ, არასრულწლოვნის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, ეს არ არის ერთდერითი დებულება, რომელიც არასრულწლოვნის დაკავებას უშვებს. ის შეიცავს კონკრეტულ, მაგრამ არა ამომწურავ გარემოებებს, როცა არასრულწლოვანთა დაკავება შესაძლებელია აღმზრდელობითი ზედამხედველობის ან უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით.[71] ხსენებული დებულება უშვებს თავისუფლების აღკვეთას არასრულწლოვნის ინტერესებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, ის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილია თუ უბრალოდ „რისკის ქვეშ“ მყოფი ბავშვია; და აგრეთვე, იძლევა არასრულწლოვნის აღმზრდელობითი ზედამხედველობის მიზნით დაკავების შესაძლებლობას. ევროპული სასამართლო მიუთითებს ეროვნული კანონმდებლობის მატერიალური და საპროცესო წესების დაცვის ვალდებულებასა და კონვენციის მე-5 მუხლის მიზანზე - თვითნებობისგან დაცვაზე.[72] საგულისხმოა, რომ არასრულწლოვნის „ქცევის კორექციის“ ან შემდგომი დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელების პრევენციისათვის დაკავება არ წარმოადგენს კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს.[73] არასრულწლოვანთათვის პატიმრობის შეფარდება უნდა იყოს მხოლოდ უკანასკნელი ღონისძიება, რაც შეიძლება ხანმოკლე და მხოლოდ მკაცრად აუცილებელი.[74]

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მიუთითებს, რომ შეძლებისდაგვარად თავიდან უნდა იქნას აცილებული არასრულწლოვანთა პოლიციის მიერ დაკავებაში ყოფნა და, ნებისმიერ შემთხვევაში, წახალისდეს პროკურატურის ორგანოები, ზედამხედველობა გაუწიონ ასეთი დაკავების პირობებს.[75]

სანქციებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი დამნაშავეების შესახებ ევროპული წესების[76] თანახმად, არასრულწლოვნების განსაკუთრებული დაუცველობა დაკავების საწყის პერიოდში უნდა იქნას გათვალისწინებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ ყოველთვის მოეპყრონ მათი ღირსების პატივისცემით. არასრულწლოვნების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც გამართლებულია მათი დაკავების მიზნით.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილია არასრულწლოვანის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის, მისი მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების თავისებურებები, სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალური წესები.[77] ხსენებული კოდექსი გამოიყენება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის პროცესში მონაწილეობისას.[78] კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი არის 18 წლამდე ასაკის პირი, რომლის მიმართაც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, მან ჩაიდინა სამართალდარღვევა, რომლის სახდელის ერთადერთ ან ერთ-ერთ სახეობად ადმინისტრაციული პატიმრობაა გათვალისწინებული.[79]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები:[80] არასრულწლოვანის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაციის, რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვანის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე, მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.[81] კოდექსი ინდივიდუალურ მიდგომას უსვამს ხაზს: არასრულწლოვანის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვანის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე პროცესის მწარმოებელი პირი არასრულწლოვანს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას.[82]

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანამომხიერი უნდა იყოს და მის პიროვნებას, ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს.[83] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და ამ კოდექსის მიზნების მიღწევის ყველაზე მსუბუქ საშუალებას ენიჭება.[84] არასრულწლოვანის დაკავება, დაპატიმრება და მისთვის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული.[85]

ქართული კანონმდებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტიდან 16 წლის ასაკს მიღწეულ პირებს.[86] წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის (166-ე და 173-ე მუხლები) სახდელის სახედ გათვალისწინებული იყო ჯარიმა ან ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე ვადით.[87] ადმინისტრაციულ პატიმრობას შეუფარდებს მისამართლე.[88] საგულისხმოა, რომ **ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლის ასაკს მიუღწეველ პირებს.** [89]

გემოხსენებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანო.[90] ოქმი დაუყოვნებლივ ეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.[91] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას პასუხისმგებლობაში მიცემული პირის დასწრება სავალდებულოა. თუ ეს პირი თავს არიდებს შინაგან საქმეთა ორგანოს ან სასამართლოს გამოძახებით გამოცხადებას, იგი შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ.[92]

თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, დამრღვევი პოლიციის მუშაკმა, ამ მიზნით შეიძლება მიიყვანოს პოლიციაში.[93] ამ შემთხვევაში, დამრღვევის მიყვანის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ხდება დამრღვევის ადმინისტრაციული დაკავება. იგი მიყვანილი უნდა იქნეს რაც შეიძლება მცირე დროში.[94]

საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როცა ამოწურულია გემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების

მოცემული საფუძვლით დამრღვევის ადმინისტრაციული დაკავება შეუძლიათ შინაგან საქმეთა ორგანოებს – წვრილმანი ხულიგნობის, პოლიციის მუშაკის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ჩადენის შემთხვევებში.[96]

არასრულწლოვნის ადმინისტრაციული დაკავების შესახებ აუცილებლად, პირველი შესაძლებლობისთანავე ეცნობება მის მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს.[97] დამკავებელმა მოხელემ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცველ ორგანოში.[98] ადმინისტრაციული დაკავების შესახებ შედგება ადმინისტრაციული დაკავების ოქმი, რომელშიც აღინიშნება: შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი; ცნობები დაკავებულის პიროვნების შესახებ; დაკავების დრო და საფუძველი. ოქმს ხელს აწერენ შემდგენი და დაკავებული. თუ დაკავებული უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, ამის შესახებ ოქმში მიეთითება.[99]

ადმინისტრაციული დაკავების დროს დაკავებული პირი პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, წარედგინება სასამართლოს.[100] მტკიცებულებების მოპოვების მიზნით ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადა შეიძლება ერთჯერადად გახანგრძლივდეს არაუმეტეს 24 საათით. ამ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი თანამშრომელი წერილობით ასაბუთებს ადმინისტრაციული დაკავების ვადის გახანგრძლივების მიზანშეწონილობას.[101] თუ დაკავებული პირი ზემოხსენებულ ვადაში არ წარედგინა სასამართლოს, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.[102] დაკავებული პირი სასამართლოსთვის წარედგენამდე უფლებამოსილმა ორგანომ შეიძლება მოათავსოს დროებითი მოთავსების იზოლატორში.[103]

მოცემული საქმის ანალიზი

2024 წლის 5 დეკემბერს, 20:45 საათზე, პოლიციელებმა აქციაზე ადმინისტრაციული წესით დააკავეს არასრულწლოვანი [REDACTED] და საფუძვლესად სამართალდარღვევის აღკვეთა, პიროვნების დადგენა, სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა და საქმის დროულად და სწორად განხილვის უზრუნველყოფა დაასახელეს. განყოფილებაში დადასტურდა, რომ დაკავებული არასრულწლოვანი იყო. შედგა დაკავების ოქმი და დამკავებელმა მისი იზოლატორში მოთავსების გადაწყვეტილება მიიღო. ხოლო მე-2 დღეს, 6 დეკემბერს, დაკავების ვადა კიდევ 24 საათით გახანგრძლივდა მტკიცებულებათა მოპოვების საბაბით. 7 დეკემბერს, სასამართლომ, დაკავებული არასრულწლოვანი დაუყოვნებლივ კი არ გაათავისუფლა დაკავებიდან, არამედ დაელოდა დაკავების მაქსიმალური 48-საათიანი ვადის ამოწურვას და სსენებული ვადის გასვლამდე რამდენიმე წამით ადრე, 20:44 საათზე გაათავისუფლა დაკავებიდან.

საგულისხმოა, რომ სასამართლომ დადგენილებაში მხოლოდ არასრულწლოვანი [REDACTED] თავდაპირველი დაკავების საკითხზე იმსჯელა. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, მიმალვის მცდელობაზე, ასევე, ოქმის შედგენისთვის პირის იდენტიფიცირების საჭიროებაზე, რაც დაკავების ადგილას ხალხის მასის კონცენტრირების გამო შეუძლებელი იყო და საჭირო გახდა გადაყვანა პოლიციის განყოფილებაში. სასამართლოს დადგენილებით, აღნიშნული გარემოებები ქმნიდა უკიდურეს აუცილებლობას, რაც გახდა პირის დაკავების საფუძველი.

ამასთან, სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია და განხილვისა და შეფასების გარეშე დატოვა დაკავების ოქმის შედგენის შემდეგ, არასრულწლოვნის დაკავების საჭიროება და აუცილებლობა, მითუმეტეს ვადის გახანგრძლივება და 48 საათის განმავლობაში დაკავება.

სამწუხაროდ, საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების საკითხს არ განიხილავენ. კანონის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავება დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოში

(თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან.^[104] ეს პრაქტიკა ევროპულმა სასამართლომ კონვენციასთან შესაბამოდ ჩათვალა საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებშიც, ძერკორამშვილისა და მაჭავარიანის საქმეებში. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველი წლებია საუბრობს ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების საკითხის სასამართლო კონტროლის არარსებობის სისტემურ პრობლემაზე და გასცემს რეკომენდაციას ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმება მოსამართლის ვალდებულებად განისაზღვროს.^[105]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კრიტიკის საგანს წარმოადგენს ეროვნულ დონეზე ადმინისტრაციული დაკავების და მისი ვადის გაგრძელების საფუძვლების დაუსაბუთებლობა, რის გამოც დაკავება უკანონოდ და თვითნებურად ფასდება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით დაცული ქმედებისთვის პოლიციელების მხრიდან ადმინისტრაციული დაკავების როგორც

თავდაპირველი საფუძვლების^[106] ისე მისი 48-საათამდე^[107] გახანგრძლივების მიზანშეწონილობის საკითხზე მსჯელობა და შეფასება.

პოლიციელებმა არასრულწლოვან [REDACTED] ადმინისტრაციული დაკავების საფუძვლებად სამართალდარღვევის აღკვეთა, პიროვნების დადგენა, სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა და საქმის დროულად და სწორად განხილვის უზრუნველყოფა დაასახელეს. მათივე განმარტებით, განყოფილებაში დაადგინეს დაკავებულის ვინაობა და ასაკი, შეადგინეს ოქმი. შესაბამისად, დაკავების ოქმის შედგენის შემდეგ, მითითებული საფუძვლებიდან 3 მათგანი აღარ არსებობდა.

რაც შეეხება საქმის დროულად და სწორად განხილვის უზრუნველყოფის საკითხს, 2025 წელს, არაკონსტიტუციურადაა ცნობილი კანონი,^[108] რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას პასუხისგებაში მიცემული პირი თავს არიდებდა შინაგან საქმეთა ორგანოს ან ადმინისტრაციული სასამართლოს (მოსამართლის) გამოძახებით გამოცხადებას, შეიძლებოდა იძულებით ყოფილიყო

მიყვანილი შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ.^[109] სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის პოზიცია, რომ არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გაამართლებდა საქმის განხილვაზე პირის იძულებით წარდგენის ღონისძიებას. ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, გასაჩივრებული რეგულაციის ლეგიტიმურ მიზანს, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული პატიმრობის დაუყოვნებელი აღსრულება. ეს მექანიზმი მიმართული იყო უზრუნველყოფა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრება უშუალოდ საქმის განხილვაზე. ადმინისტრაციული სახდელის (მათ შორის ადმინისტრაციული პატიმრობის) დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულებას არეგულირებს სხვა ნორმები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ უნდა შეიზღუდოს პირის თავისუფლება იმ ჰიპოთეტური სახდელის დაუყოვნებლივ აღსრულების საფუძველზე, რომელთან დაკავშირებითაც, ჯერ სახეზე არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება. ამასთან, სადავო ნორმით დადგენილი პირის იძულებით წარდგენის მექანიზმი მიემართება, მათ შორის, ისეთ სამართალდარღვევებს, რომლებიც საერთოდ არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული სახდელის სახედ პატიმრობას. სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დასახელებული მიზნის ლეგიტიმურობა და მიიჩნია, რომ სადავო ნორმა წარმოადგენს უფლების შემზღუდვის თვითმიზნურ სამუალებას და ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ უფლებას.

არასრულწლოვანთან მიმართებაში ვერ იარსებებდა და არც არსებობდა პოტენციური სახდელის აღსრულების საკითხიც, რადგან კანონის მიხედვით, დაუშვებელია

ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება 18 წლამდე პირისთვის^[110]. ამის მიუხედავად, სასამართლოს დადგენილების მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველაზე მკაცრი საჩექციის გამოყენება მოითხოვა.

გასათვალისწინებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კანონზე^[111] მითითებით განმარტავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით პირის დაკავება მხოლოდ ისეთი დანაშაულისთვისაა დაშვებული, რომელიც სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს; ხოლო იმ დანაშაულთან მიმართებით, რომლისთვისაც სასჯელის სახით არ არის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა, შესაძლო მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის და მტკიცებულებების განადგურების საფრთხის აღმოსაფხვრელად სასამართლოს

მიერ პირის დაკავებას დაუშვებელ, არაპროპორციულ ღონისძიებად მიიჩნევს.^[112] როგორც წესი, პოლიცია არასრულწლოვნების ადმინისტრაციული დაკავების პროცესში, ოქმის შედგენის შემდეგ, განყოფილებიდან ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლების პრაქტიკას იყენებს. თუმცა ამ შემთხვევაში, ყველაზე მკაცრი ღონისძიება - დაკავება მაქსიმალური, 48-საათიანი ვადით, დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ გამოიყენა.

ამდენად, დაკავების ოქმის შედგენის შემდეგ, არასრულწლოვნის შემდგომი დაკავების საფუძვლები აღარ არსებობდა, თუმცა ამის მიუხედავად ის იზოლატორში მოათავსეს.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა. უკიდურესი აუცილებლობა არასრულწლოვნის დაკავებისთვის არ არსებობდა. ადმინისტრაციული საქმის განხილვისთვის არასრულწლოვანი მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით შეეძლოთ გამოეძახებინათ.

მოუხილავად ამისა, პოლიციელებმა მაინც მიიღეს დაკავებულის იზოლატორში განთავსების

ტექსტით, კანონის ნორმაზე ფორმალური მითითებით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, თუ რა გარემოებები შეუშლიდა ხელს მტკიცებულებების მოპოვებას მისი გათავისუფლების შემთხვევაში.

დაკავების მე-2 დღეს, 6 დეკემბერს, [REDACTED] მოთხოვნილია ვიდეო ჩანაწერები, ხოლო იმავე სამინისტროს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების დოკუმენტაცია; ასევე, შედგა გასაუბრება კოლეგებთან - 2 პოლიციელთან. ხსენებულ მტკიცებულებებს პოლიციელები მოიპოვებდნენ იმის მიუხედავად, [REDACTED] დაკავებული იქნებოდა თუ არა, ვინაიდან არასრულწლოვან მოქალაქეს არც მუნიციპალიტეტის კამერების ჩანაწერებზე და არც შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტის ბაზაში არსებულ მონაცემებთან წვდომა არ აქვს. შესაბამისად, იგი მათ განადგურებას ვერ შეძლებდა, ასევე, ხელს ვერ შეუშლიდა მათ მოპოვებაში ადმინისტრაციულ ორგანოს. მითუმეტეს, სასამართლოში მოწმის სახით დაიკითხნენ პოლიციელები, რომლებსაც სამართალდარღვევის ოქმის შედგენამდე მათივე კოლეგა გაესაუბრა (საქმეშია პოლიციელებთან გასაუბრების ოქმები და პატაკი), რომლებმაც შემოქმედება არასრულწლოვანი მოქალაქის მხრიდან გამოირიცხება. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ 2024 წლის 5 დეკემბერს, 22:15 საათზე, პოლიციის საინფორმაციო ბაზიდან ამობეჭდილია [REDACTED] შესახებ ინფორმაცია და როგორც პოლიციელმა სასამართლოზე განაცხადა, სწორედ ამ მონაცემით იხელმძღვანელა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას 7 დეკემბერს, როცა ბავშვის ქმედება დააკვალიფიცირა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი და 166-ე მუხლის პირველი ნაწილით, რადგან ხსენებული დოკუმენტის მიხედვით, ამ მუხლებით არასრულწლოვანი სახდელდადებული არ ყოფილა ბოლო 1 წლის განმავლობაში. ხოლო 6 დეკემბერს, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტისთვის გაგზავნილ წერილზე (ადმინისტრაციული სახდელდადებულების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვა) პასუხი საქმეში საერთოდ არ არის. შესაბამისად, ამ მტკიცებულებების მოპოვებისთვის არასრულწლოვანის დაკავებაში ყოფნა არც საჭირო და არც აუცილებელი არ იყო, რის გამო გამოირიცხა დაკავებისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სწორად განხილვის საფუძვლების არსებობაც.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის საკითხი, რომ პოლიციელები სასამართლოზე აცხადებდნენ, რომ არასრულწლოვანის ქმედებამ გაიარა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის გზარზე და მიუთითებენ, მის მიერ კვამლის გამშვები მუყაოს ნივთის სროლაზე, რაც პოლიციელს მოხვდა ხელზე, თუმცა არაფერი მომხდარა და არც ტკივილი გამოუწვევია. ამის თაობაზე მითითებულია 6 დეკემბერს შედგენილ გასაუბრების ოქმებში, თუმცა არც 5 დეკემბერს შედგენილ დაკავების ოქმში და არც 7 დეკემბერს შედგენილ სამართალდარღვევის ოქმში ეს საკითხი მითითებული საერთოდ არ აქვთ. დაკავებისა და სამართალდარღვევის ოქმებში მხოლოდ პოლიციელებისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება არის დაფიქსირებული. შესაბამისად, მათი განმარტებიდან შეიძლება იკვეთებოდეს, რომ არასრულწლოვანის დაკავების რეალური საფუძველი სხვა მიზნით იყო განპირობებული, რაც შესაძლო არაკეთილსინდისიერებაზე მიუთითებს.

ამრიგად, პოლიციის მიერ პირის ადმინისტრაციული წესით დაკავება შეიძლება განხორციელდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი საფუძვლებით და წესით, მკაცრად დადგენილი ვადებით. დაკავების საფუძველი უნდა არსებობდეს მთლიანი დაკავების ვადის განმავლობაში.

ადამიანის თავისუფლების უკანონო შეზღუდვას საქართველოს უზენაესი კანონი დასჯადად აცხადებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის პირველი ნაწილით კრიმინალიზებულია პირის განზრახ უკანონო დაკავება. ხსენებულ დანაშაულს ჰყავს სპეციალური ამსრულებელი - დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი. მოცემული დანაშაულის ქმედების შემადგენლობა გულისხმობს პირისთვის თავისუფლების დაუსაბუთებლად შეზღუდვას, პირის დაკავებას კანონიერი საფუძვლის არარსებობისას.

შესაბამისად, არასრულწლოვანი [REDACTED] ადმინისტრაციული წესით დაკავება მისი იდენტიფიცირებისა და დაკავების ოქმის შედგენის შემდეგ, ასევე, მისთვის დაკავების ვადის კიდევ 24 საათით გახანგრძლივება პოლიციელების მიერ განხორციელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე და 247-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით, აუცილებლობისა და საჭიროების დასაბუთების გარეშე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დარღვევით.

ამდენად, პოლიციელების ქმედებებში იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამომძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

პროკურატურის გამომძიებლის საგამომძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქმეები პოლიციელის მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე.^[113]

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოს გამომძიება არასრულწლოვან [REDACTED] სავარაუდო უკანონო განზრახ დაკავების ფაქტზე.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები სახალხო დამცველს აცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

[1] [REDACTED] სასამართლოს მიერ განხილული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე N [REDACTED]

[2] დაკავების ოქმი N [REDACTED] შედგენილია: [REDACTED] სამმართველოს პოლიციის მე- [REDACTED] განყოფილების დეტექტივის, [REDACTED] მიერ, დამკავებელი პირები არიან: უფროსი დეტექტივი [REDACTED] და დეტექტივი [REDACTED]

[3] სიტყვის სწორი ფორმა „ნაიარვეი“.

[4] [REDACTED] სამმართველოს პოლიციის მე- [REDACTED] განყოფილების დეტექტივის, [REDACTED] პატაკი NM [REDACTED] იძავე განყოფილების უფროსს - [REDACTED]

[5] [REDACTED] სამმართველოს პოლიციის მე- [REDACTED] განყოფილების დეტექტივის, [REDACTED] N [REDACTED] წერილი იძავე განყოფილების უფროსს - [REDACTED]

[6] [REDACTED] სამმართველოს მე- [REDACTED] განყოფილების უფროსის, [REDACTED] N [REDACTED] წერილი [REDACTED] დროებითი მოთავსების იზოლაციისადმი.

[7] [REDACTED] სამმართველოს პოლიციის მე- [REDACTED] განყოფილების უფროსის, [REDACTED] N [REDACTED] წერილი.

[8] [REDACTED] სამმართველოს პოლიციის მე- [REDACTED] განყოფილების უფროსის, [REDACTED] N [REDACTED] წერილი.

[9] [REDACTED] პოლიციის მე- [REDACTED] განყოფილების უფროსი დეტექტივის, [REDACTED] მიერ შედგენილი გასაუბრების ოქმები.

[10] [REDACTED] სამმართველოს პოლიციის მე- [REDACTED] განყოფილების დეტექტივი [REDACTED] და [REDACTED] სამმართველოს პოლიციის მე- [REDACTED] განყოფილების უფროსი ინსპექტორი [REDACTED]

[11] [REDACTED] სამმართველოს პოლიციის მე- [REDACTED] განყოფილების უფროსი ინსპექტორი [REDACTED]

[12] [REDACTED] სამმართველოს პოლიციის მე- [REDACTED] განყოფილების დეტექტივი [REDACTED]

[13] [REDACTED] სამმართველოს პოლიციის მე- [REDACTED] განყოფილების უფროსი ინსპექტორი [REDACTED]

[14] ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N [REDACTED], შედგენილია [REDACTED] სამმართველოს პოლიციის მე- [REDACTED] განყოფილების უფროსი დეტექტივის, [REDACTED] მიერ.

[15] [REDACTED] სამმართველოს პოლიციის მე- [REDACTED] განყოფილების უფროსის, [REDACTED] N [REDACTED] მიმართა [REDACTED] სასამართლოს.

[16] საქმე N4 [REDACTED]

[17] საგულისხმოა, რომ სასამართლოს დადგენილებაში აღნიშნულია მოწმეთა (პოლიციელების) ჩვენებებში გარკვეულ უზუსტობებზე ([REDACTED] აღნიშნა, რომ მას არ მოუწოდებია [REDACTED], ხოლო [REDACTED] თქვა, რომ ახსოვდა, რომ [REDACTED] მოუწოდა [REDACTED] შეეწყვიტა ქმედება), თუმცა აქციის „სპეციფიკის“ გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს უზუსტობა არ წარმოადგენს ისეთი მნიშვნელობის ფაქტს, რაც მოწმეთა ჩვენებებს ეჭვქვეშ დააყენებდა.

[38] Creanga v. Romania [GC], განაცხადი N29226/03, 23.02.2012 წ. §84; A. and others v. the UK [GC], განაცხადი N3455/05, 19.02.2009 წ. §164; Gafgaz Mammadov v. Azerbaijan, განაცხადი N60259/11, 15.10.2015 წ. §105; Dzerkorashvili and others v. Georgia, განაცხადი N70572/16, 02.03.2023 წ. §95.

[39] Sahin Alpay v. Turkey, განაცხადი N16538/17, 20.03.2018 წ. §103; Mehmet Hasan Altan v. Turkey, განაცხადი N13237/17, 20.03.2018 წ. §124; Selahattin Demirtas v. Turkey (no. 2) [GC], განაცხადი N14305/17, 22.12.2020 წ. §314.

[40] Ilgar Mammadov v. Azerbaijan, განაცხადი N15172/13, 22.05.2014 წ. §88; Sabuncu and others v. Turkey, განაცხადი N23199/17, 10.11.2020 წ. §145.

[41] Sabuncu and others v. Turkey, განაცხადი N23199/17, 10.11.2020 წ. §145.

[42] S., V. and A. v. Denmark [GC], განაცხადი N35553/12, 36678/12, 36711/12, 22.10.2018 წ. §90.

[43] Nemtsov v. Russia, განაცხადი N1774/11, 31.07.2014 წ. §82-83; Frumkin v. Russia, განაცხადი N74568/12, 05.01.2016 წ. §155; Makarashvili and others v. Georgia, განაცხადი N23158/20, 31365/20, 32525/20, 01.09.2022 წ. §51.

[44] Selahattin Demirtas v. Turkey (no. 2) [GC], განაცხადი N14305/17, 22.12.2020 წ. §318; Sabuncu and others v. Turkey, განაცხადი N23199/17, 10.11.2020 წ. §148.

[45] Sabuncu and others v. Turkey, განაცხადი N23199/17, 10.11.2020 წ. §148.

[46] Aquilina v. Malta [GC], განაცხადი N25642/94, 29.04.1999 წ. §47; Stephens v. Malta (no. 2), განაცხადი N33740/06, 21.04.2009 წ. §52.

[47] Aquilina v. Malta [GC], განაცხადი N25642/94, 29.04.1999 წ. §§48-49; Ladent v. Poland, განაცხადი N11036/03, 18.03.2008 წ. §72.

[48] Brogan and others v. the UK, განაცხადი N11209/84, 11234/84, 11266/84, 11386/85, 29.11.1988 წ. §58; Assenov and others v. Bulgaria, განაცხადი N90/1997/874/1086, 28.10.1998 წ. §146.

[49] Ladent v. Poland, განაცხადი N11036/03, 18.03.2008 წ. §72.

[50] McKay v. the UK [GC], განაცხადი N543/03, 03.10.2006 წ. §33; Ladent v. Poland, განაცხადი N11036/03, 18.03.2008 წ. §73; İpek and others v. Turkey, განაცხადი N17019/02 და 30070/02, 03.02.2009 წ. §34.

[51] İpek and others v. Turkey, განაცხადი N17019/02 და 30070/02, 03.02.2009 წ. §§36-38.

[52] Kandzhov v. Bulgaria, განაცხადი N68294/01, 06.11.2008 წ. §66.

[53] Aquilina v. Malta [GC], განაცხადი N25642/94, 29.04.1999 წ. §47.

[54] Schiesser v. Switzerland, განაცხადი N7710/76, 04.12.1979 წ. §31; Nikolova v. Bulgaria [GC], განაცხადი N31195/96, 25.03.1999 წ. §49; Niedbala v. Poland, განაცხადი N27915/95, 04.07.2000 წ. §48-49.

[55] McKay v. the UK [GC], განაცხადი N543/03, 03.10.2006 წ. §40.

[56] Matchavariani v. Georgia, განაცხადი N46852/21, 20.05.2025 წ. §60.

[57] Brega and others v. Moldova, განაცხადი N61485/08, 24.01.2012 წ. §19, 43-44.

[58] Navalnyy and Yashin v. Russia, განაცხადი N76204/11, 04.12.2014 წ. §93-98.

[59] Gafgaz Mammadov v. Azerbaijan, განაცხადი N60259/11, 15.10.2015 წ. §108-109.

[60] Frumkin v. Russia, განაცხადი N74568/12, 05.01.2016 წ. §149-152.

[61] Kasparov and others v. Russia (no.2), განაცხადი N51988/07, 13.12.2016 წ. §40-41.

[62] Navalnyy and Gunko v. Russia, განაცხადი N75186/12, 10.11.2020 წ. §55-58.

[63] Dzerkorashvili and others v. Georgia, განაცხადი N70572/16, 02.03.2023 წ. §101-105.

[64] Matchavariani v. Georgia, განაცხადი N46852/21, 20.05.2025 წ. §61-68.

[65] მუხ. 37, პუნქტ. „ბ“ და „დ“.

[66] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია N40/33, 29.11.1985 წ. წესი: 5.1, 10.2, 10.3, 13.1, 17.1 „გ“, 19.1, 20.1.

[67] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია N45/112, 14.12.1990 წ. პუნქტ. 5, ქ/ბ. „ბ“, „მ“.

[68] გაეროს გენერალური ასამბლეის N45/113 რეზოლუცია, 14.12.1990 წ. წესი: 2, 11 „ბ“, 17.

[69] UN Doc. CRC/C/GC/10, 25.04.2007 წ. წესი 10, 23, 79 „ა“ და „ბ“, 81, 83.

[70] გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს N1997/30 რეზოლუცია, 21.07.1997 წ. წესი: 15, 18, 25.

[72] D.L. v. Bulgaria, განაცხადი N7472/14, 19.05.2016 წ. §71.

[73] Blokhin v. Russia [GC] განაცხადი N47152/06, 23.03.2016 წ. §171.

[74] Nart v. Turkey, განაცხადი N20817/04, 06.05.2008 წ. §31.

[75] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R (87) 20 (on social reactions to juvenile delinquency), მიღებულია 1987 წლის 17 სექტემბერს. წესი 6.

[76] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2008)11, მიღებულია 2008 წლის 5 ნოემბერს. წესი: 109, 111.

[77] საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლ. 1 ნაწ. 1.

[78] იქვე, მუხლ. 2, ნაწ. 1.

[79] იქვე, მუხლ. 3, ნაწ. 2, ქ/პ. „ბ“.

[80] იქვე, მუხლ. 4.

[81] იქვე, მუხლ. 3, ნაწ. 4.

[82] იქვე, მუხლ. 14, ნაწ. 1-2.

[83] იქვე, მუხლ. 7.

[84] იქვე, მუხლ. 8.

[85] იქვე, მუხლ. 9, ნაწ. 2.

[86] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (2024 წლის 12 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებამდე მოქმედი რედაქცია), მუხლ. 13.

[87] იქვე, მუხლ. 166 და 173.

[88] იქვე, მუხლ. 32, ნაწ. 1.

[89] იქვე, მუხლ. 32, ნაწ. 3.

[90] იქვე, მუხლ. 239, ნაწ. 13.

[91] იქვე, მუხლ. 241.

[92] იქვე, მუხლ. 252, ნაწ. 1-2.

[93] იქვე, მუხლ. 243, ნაწ. 1.

[94] იქვე, მუხლ. 243, ნაწ. 5.

[95] იქვე, მუხლ. 244, ნაწ. 1.

[96] იქვე, მუხლ. 246, ქ/პ. „ა“.

[97] იქვე, მუხლ. 245, ნაწ. 2.

[98] იქვე, მუხლ. 245, ნაწ. 4.

[99] იქვე, მუხლ. 245, ნაწ. 5.

[100] იქვე, მუხლ. 247, ნაწ.1.

[101] იქვე, მუხლ. 247, ნაწ. 2.

[102] იქვე, მუხლ. 247, ნაწ. 3.

[103] იქვე, მუხლ. 247, ნაწ. 4.

[104] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 251.

[105] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი, გვ. 129 და 134; 2020 წელი, გვ. 103-104 და 112; 2021 წელი, გვ. 91; 2022 წელი, გვ. 96; 2023 წელი, გვ. 98 და 107; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 167-169.

[106] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 244, ნაწ. 1.

[107] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 247.

[108] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 252, ნაწ. 2, მე-2 წინადადება.

[109] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 28 მაისის N2/2/1717 გადაწყვეტილება საქმეზე: „ალექსანდრე კობაიძე და მირანდა შალამბერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-17-21.

[110] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლ. 32, ნაწ. 3.

[111] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 171.

[112] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-78-79.

[113] „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს N3 ბრძანება, დანართი, პუნქტ. 2.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერა/
შტამდასმულია
ელექტრონულად



ლევან იოსელიანი